

## EU4Energy- სუფთა ენერჯიაზე გადასვლის ხელშეწყობა -მმართველობა

განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 31.12.2024

### EaP ქვეყნები:

მოლდოვა, საქართველო, უკრაინა

ევროკავშირის € 1 800 000

წვლილი:

მთლიანი € 1 894 796

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Energy Community Secretariat



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის [energy-community.org/regionalinitiati](https://energy-community.org/regionalinitiatives/EU4EnergyII.html)

ვებსაიტები: [ves/EU4EnergyII.html](https://energy-community.org/regionalinitiatives/EU4EnergyII.html)

### პროექტის აღწერა:

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტი "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სუფთა ენერჯიაზე გადასვლის ხელშეწყობა: EU4Energy II ფაზა - კომპონენტი 1" (EU4Energy მმართველობის პროექტი, II ფაზა) მხარს უჭერს აღმოსავლეთ სამეზობლოს სამ ქვეყანას - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას და გამიზნულია რამოდენიმე აქტორზე, პირველ რიგში სამთავრობო უწყებებზე პარტნიორ ქვეყნებში, რომელთაც ესაჭიროებათ მათი ენერგეტიკული პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა კურსი აიღონ მდგრად ენერჯიაზე გადასვლისკენ. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის კანონმდებლობას, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებას, აგრეთვე ევროკავშირთან ორმხრივ შეთანხმებებსა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ფართო სპექტრის აქტივობებს, მათ შორის სამართლებრივი ჩარჩოებისა და რეგულაციების, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, განხორციელებასა და მონიტორინგში დახმარების განწვევას. ამ აქტივობებს დაემატება სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ქვეყნების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რომლებიც საჭიროა აქტივობის განსახორციელებლად.

### მოსალოდნელი შედეგები:

ტექნიკური დახმარების განწვევა ენერგეტიკული კანონმდებლობის ტრანსპოზიციასა და განხორციელებასთან დაკავშირებით;  
- ტექნიკური დახმარების განწვევა ენერგეტიკული კანონმდებლობის იმპლემენტაციის/შეფასების მიმოხილვისთვის;  
- ტექნიკური დახმარების განწვევა ინსტიტუციური შესაძლებლობების შესახებ ძირითად ენერგეტიკის სამინისტროებსა და სააგენტოებში.